საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ოთხშაბათი, 1 დეკემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 108 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტებისა. № 108

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოეთის კაპიტალი საბჭოთა რუსეთში

ორი წლის უკან რუსეთის საბჭოთა მთავრობამ გადაუგდო საერთაშორისო ბურჟუაზიას არევ-დარევის ძვალი კონცესიების დაპირების და თითქმის თვითმპყრობელობის დროს აღებული ვალების გადახდის სახითაც კი. უფრო გვიან ინგლისის კაპიტალის ნოქარიც, დემაგოგი ლოიდ ჯორჯიც რწმუნდებოდა, რომ რუსეთის ნედლი მასალის გარეშე კაცობრიობას არ შეუძლია არსებობა. მაგრამ კომერციული აგენტების და კომერციული გეგმების მაგიერ საერთაშორისო ბურჟუაზია განაგრძობდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონურ გენერლების და ავანტიურისტების ახალ ლაშქარის, ახალ დრედნოუტების გზავნას.

საბჭოთა რუსეთს შემოარტყეს აბსოლიუტური ბლოკადის მუხრუჭები, ამის ერთიანი ფრონტების ცეცხლის რგოლები. ეგონათ, ძალით ჩაახშობდნენ მუშების და გლეხების ძალა-უფლებას, აღადგენდენ კაპიტალისტებს და მემამულეებს უფლებებში, გადააქცევდენ რუსეთს კოლონიათ და მიიღებდენ უკანვე თავიანთ მილიარდებს.

რითი დათავდა ამ თანამედროვე გუნების გალაშქრება პროლეტარულ რესპუბლიკაზე—ახლა ყველასათვის ცხადია: რუსეთმა მოსპო ან შორს უკუაქცია ყველა თავისი მტრები, რუსეთმა ლიკვიდაცია უყო თითქმის ყველა სამხედრო ფრონტებს და გადადის შრომისა და ქვეყნის მეურნეობის აღდგენის ფრონტზე, რათა ასწიოს და კიდევ უფრო განავითაროს საწარმოვო ძალები, რომლებიც დასცა იმპერიალისტურმა ომმა.

საბჭოთა რუსეთის სამხედრო გამარჯვებამ შეანგრია არა მარტო ბლოკადის ყრუ კედელი, არამედ შეიტანა დაშლის ელემენტი შეთანხმების სახელმწიფოთა, ამერიკის და იაპონიის იმპერიალისტების გულითად კავშირში. პოლიტიკური წინასწარი პირობები საბჭოთა რესპუბლიკის ოფიციალურ ცნობისათვის დიდი სახელმწიფოების მიერ უკვე განხორციელდებოდა. თითოეული მათგანი ცდილობდა დაესწრო თავისი ბუნებრივი კონკურენტისათვის, არ დაუშავოს მისი გავლენის გაძლიერება ჩამორჩენილ ქვეყნების ეკონომიური ცხოვრებაზე, და მათ რიგში საბჭოთა რუსეთზედაც. ინგლისი და ამერიკა მკვით უყურებენ ერთი მეორეს, აძლიერებენ გემების აშენებას და ეცილებიან ერთი მეორეს ზღვაზე ბატონობაში. საფრანგეთი და იაპონიაც დაარწმუნდნენ, რომ გამონახონ გზა და საშუალება თავისი დირსეულ ადგილის უზრუნველსაყოფათ. მზის ქვეშ შეჯიბრების მატლი ღრნის ანტანტის თვით გულს, და თითოეული მისი წევრი ყალყზე დგება, რომ დაეცეს მეორე მტერს.

ამ სახალხო კომისართა საბჭოს რომ კონკრეტულ წინადადებების საპასუხოთ სატყეო და მიწის სიმდიდრის დასამუშავებლათ კონცესიების მიცემის და ცალკე სამრეწველო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ, გამოაქვს დადგენილობა კონცესიების საერთო ეკონომიურ პირობების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაეთმოს უცხოეთის კაპიტალისტებს. კონცესიონერებს უფლება ექნებათ გაიტანონ საზღვარ-გარეთ პროდუქტის ნაწილი; ზოგიერთ შემთხვევებში კი კონცესიებს ეს უფლებები დათმობილი ექნება ხანგრძლივ დროზე „კონცესიისთვის გაწეული რისკის და დაბანდებულ ტეხნიკურ საშვალებათა სრულ ანაზღაურების უზრუნველ საყოფათ“. საბჭოთა მთავრობა უზრუნველყოფს ნაციონალიზაციისა, კონფისკაციისა და რეკვიზიციისგან საწარმოვო დაწესებულებაში დაბანდებულ კონცესიონერის ქონებას.

დაბოლოს კონცესიონერს უფლება ექნება დაიქირაოს მუშები და მოსამსახურენი რ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე თავისი საწარმოვო დაწესებულებებისათვის. შრომის კანონთა კოდექსის დაცვით ან სპეციალური ხელშეკრულობით, შრომის პირობების შესახებ, რომლებიც იცავს მუშების სიცოცხლეს და ჯანმთელობას.

აი თუ როგორ პირობებს აძლევს საბჭოთა მთავრობა კაპიტალისტებს, რომლებიც იძლევიან თავიანთ კაპიტალს და ტეხნიკურ საშვალებებს ვებერთელა რუსეთის ხელუხლებელ ბუნებრივ სიმდიდრის დასამუშავებლათ.

ჩვენი დემოკრატები სიხარულით ფეხზე ვერ დგებიან ამის გამო. თვლიან რა სახალხო კომისართა საბჭოს ამ დადგენილებას თავისი „ღრმა“ აზრით „მეტად მნიშვნელოვანათ“ და მილიონჯერ იმეორებენ წინასწარმეტყველობას იმის შესახებ, რომ „იმათ (ბოლშევიკების) თეორიამ განიცადა კრახი, როდესაც ის შეეხო ნამდვილ ცხოვრებას“.

ვითომ ასეა ეს ბ. ბ. წინასწარმეტყველებო? ხომ არ ამჟღავნებთ თქვენ ახლაც თქვენს საიდუმლო ავათმყოფობას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ დაკარგული გაქვთ სრულიად უნარი წინასწარმეტყველოთ თითქმის უკანა რიცხვიდანაც, როდესაც საკითხი ეხება იმ პროლეტარულ რევოლიუციის ქვეყანას, რომლის სხივები გიბრმავებთ თქვენ თვალებს და ბურუსში ხვევს თქვენს ნიჭს?

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### შორეულ აღმოსავლეთის გაერთიანება და იაპონია.

ციმბირის რეაქციის განადგურების შემდეგ საბჭოთა რუსეთი არ იყო დაინტერესებული შეტაკებოდა იაპონიას შორეულ-აღმოსავლეთში, ამიტომაც საბჭოთა რუსეთმა შეაჩერა წითელ არმიის წინსვლა ბაიკალის ნაპირებთან და მთელ რიგ შორეულ აღმოსავლეთის მშრომელ მცხოვრებლებს მიანიჭა პოლიტიკურ თვითგამორკვევის უფლება.

ზაბაიკალის, ამურის და ზღვის ნაპირის ოლქებმა აგრეთვე კამჩატკამაც და სახალინმაც, რომლებიც შედიოდენ შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნების შემადგენლობაში, დამოუკიდებლად იწყეს ბრძოლა როგორც ციმბირის რეაქციის წინააღმდეგ, ისე მოკავშირეთა მონობისაგან თავის დასახსნელად. შედარებით ჩქარა მოახერხეს შორეულ აღმოსავლეთის მშრომელებმა კოლჩაკის ნაშთების მოსპობა ზღვის ნაპირის და ამურის ოლქებში. ასე ქნეს აგრეთვე კამჩატკა და სახალინმა. ყველა ამ ოლქებში ძალა-უფლება გადავიდა დროებითი მთავრობის ანდა რევოლიუციონურ კომიტეტების ხელში, მოკავშირეები რაკი დარწმუნდენ კოლჩაკის დამარცხებაში, ერთი-მეორეზე გადიოდენ და გაჰყავდათ თავიანთი ჯარები ციმბირიდან. შორეულ აღმოსავლეთში დარჩა მხოლოდ იაპონია, რომელმაც თავისი-თავი შორეულ აღმოსავლეთის საქმეებში დაინტერესებულ მხარეთ გამოაცხადა.

იაპონია ამ უკანასკნელ დრომდის განაგებდა მთელ შორეულ აღმოსავლეთის ბედს. მთელ ამ დროს განმავალობაში განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებდა იაპონიასა და შორეულ აღმოსავლეთის შორის.

შორეულ აღმოსავლეთის მცხოვრებლებმა მიზნათ დაისახეს თითვეულ ოლქების გაერთიანება და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის დაარსება. იაპონიის დიპლომატია, რომელიც ხელმძღვანელობდა პრინციპით: „გათიშე და იბატონე“—ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ხელი შეეშალა ამ გაერთიანების საქმისათვის. იაპონიის სარდლობა ციმბირში ეხმარებოდა ყაჩაღ სემიონოვს, რომელიც, როგორც სოლი შეიჭრა ამ ოლქებში და ხელს უშლიდა მათ გაერთიანებას. იგივე იაპონიის სარდლობა ეხმარებოდა ყოველ საშუალებით ზღვის ნაპირის ოლქში ყაჩაღებს. რომ უზრუნველეყო თავის თავი და აგრეთვე რომ დაუსჯელი ყოფილიყო ყველა მოქმედებისათვის შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიის მთავრობა მიმდინარე წლის აპრილში მოულოდნელათ თავს დაესხა ზღვის ნაპირა ოლქის ჯარებს და მცხოვრებლებს, განაიარაღა ისინი. ასევე მოიმოქმედა იაპონიის მთავრობამ კორეის მიმართაც. ამის შემდეგ იაპონია თავს დაესხა კუნძულ სახალინს და ნიკოლაევსკს და დაიპყრო ის.

მიუხედავათ ამისა იაპონიის მთავრობამ დაიცვა დეკორუმი და თავისი პრე- [illegible] ისარ ისწრაფის ციმბირში ადგილების დაპყრობისაკენ მან განაცხადა აგრეთვე, რომ მის წინაშე ვითომდა კითხვაც კი დგას ნაწილობრივ ევაკუაციის შესახებ. ჩვენ, რასაკვირველია, კარგათ ვიცით ყველა ამ დეკლარაციების ფასი. ზაბაიკალის ევაკუაცია და ხაბაროვსკის რაიონიდან ჯარების გაყვანა—ეს არის იაპონიის ჯარების გადაჯგუფება და არა „ნაწილობრივი ევაკუაცია“ არც მეტი, არც ნაკლები. ხაბაროვსკის რაიონი ზამთრობით დიდ საფრთხეს წარმოადგენს იაპონიის ჯარებისათვის და ამიტომაც სტოვებენ მას. ზაბაიკალიდან იაპონიის ჯარები გაყვანილია, მაგრამ თვით ქ. ჩიტაში კი დასტოვეს იაპონიის გარნიზონი, რომლის დანიშნულებაა დაიცვას შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულება, რომლის ძალით ამ რესპუბლიკის ჯარებს უფლება არ აქვთ გადმოვიდენ ნეიტრალურ ზონაში.

ეს კი იაპონელებისათვის საჭიროა მიტომ, რომ ატამან სემიონოვმა ძველებურათ იბატონოს ჩიტაში და მთელ აღმოსავლეთ ზაბაიკალში.

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ შორეულ აღმოსავლეთის გაერთიანების საქმე ვერ მიდის კარგათ. დიდი დაბრკოლებები ელობება დელეგაციას, რომელიც მოგზაურობს ვლადივასტოკიდან ვერხნეუდინსკში ჩინეთის და მონგოლეთის გზით. იაპონიის დიპლომატები კი არხეინათ აკეთებენ იმას რომ ხელს უშ- [illegible] ნების საქმეს.

ეხლა ვერხნეუდინსკში თავშეყრილია ვლადივასტოკის, ამურის ოლქის და სახალინის წარმომადგენლები. ამ კონფერენციაზე უნდა შესდგეს ცენტრალური მთავრობა, რომელიც იმუშავებს შორეულ აღმოსავლეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდის. არ არის საჭირო წინასწარმეტყველი იყო, რომ წინდაწინ სთქვა, რომ იაპონიის მთავრობა ათას დაბრკოლებებს გადაულობავენ წინ რათა არ იქნას მოწვეული ეს დამფუძნებელი კრება. იაპონიის მთავრობის მოქმედება პირდაპირ გამომდინარეობს იაპონიის იმპერიალისტურ ზრახვებიდან შორეულ აღმოსავლეთში. მაგრამ შორეულ აღმოსავლეთში იზრდება ეხლა ისეთი ძალა, რომელიც იძულებულს ხდის იაპონიის იმპერიალიზმის ხელმძღვანელებს შეიმცირონ თავიანთი მადა. ეს ძალა არის ის, რომ აზიის მატერიკზე იზრდება მრისხანე რევოლიუციონური ტალღები.

გაერთიანების გზაზე შემდგარ შორეულ აღმოსავლეთმა მახვილი გონება უნდა მიიპყროს ამ ძალას, რადგან ეს ძალა იწვევს ისეთ ურთიერთობას შორეულ აღმოსავლეთში, როგორიც საჭიროა იაპონიის იმპერიალიზმის მოსასპობათ. მხოლოდ ამ რევოლიუციონურ ძალის ზრდა და გამარჯვება იქნება შორეულ აღმოსავლეთის მჭიდრო გაერთიანების თავდები.

ვლ. ვილენსკი. (სიბირიაკოვი).

## ბიულეტენი პრესბიუროსი

### რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

## საზღვარ-გარეთ

**თეთრგვარდიელების მუშაობის ბალანსი 1919 წ.**

**ნაუენი, 27 ნოემბ.** (ამერიკულ პარტიის პ.-ც. პარტიის კომიტეტს). ტემკინმა შეაყენა ჯამი თეთრგვარდიელების პოგრომებისა უკრაინაში 1920 წლამდი: 138,000 მოკლულია, 1.200,000 დაქვრივებული, გაუპატიურებული და დაჭრილი ქალები, 2,500 დანგრეულია სამლოცველოები. განადგურებულ ქონების ფასი უდრის 400.000,000 დოლარს.

**ვანდერლინის განცხადება.**

**ნაუენი, 29 ნოემ.** (ამერიკელ ჟურნალისტის რადიო). რუსეთიდან დაბრუნებულმა ვანდერლინმა შემდეგი მიამბო: „დღეს სიმშილობს ნახევარი ევროპა. საფრანგეთი და ინგლისი მოითხოვს რუსეთიდან იმ ვალების განაღდებას, რომელიც მეფის მთავრობამ აიღო. რუსეთი პრინციპიალურად უარს არ ყოფს, მაგრამ შემეკითხა: ვის უნდა გადაუხადონ? უნდა გადაუხადონ და მისცენ რუსეთს, რომელიც იძულებული იყო მთელი სამი წლის განმავლობაში იარაღის ქვეშ ყოლოდა 4 მილიონიანი ჯარი რათა თავი დაეცვა მტრებისაგან, რომლებიც ომის გამოუცხადებლად თავს დაესხნენ რუსეთს. რუსეთი იბრძვის მთელი 7 წელია და მან დაკარგა ყველაზე მეტი ხალხი, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფომ. ამ წელიწადს ის იხსნიდა საფრანგეთს და ინგლისს იმ ბედისაგან, როგორი ბედიც ბელგიას მოუვიდა! დღეს კი რუსეთს უხდება იმ ხალხთან ბრძოლა რომელსაც ის იფარავდა. მთელი ბატალიონები ჩაცმული და მშვენიერი ხალისით მიდიოდენ ამერიკის ტყვიისმფრქვევლებთან საბრძოლველათ. ისინი ებრძოდენ მომწამლულ გაზებს და ჰაეროპლანებს, იმ მშვენიერ შეიარაღების წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკა აძლევდა საფრანგეთს. მე ვნახე სამხედრო ნაწილები რუსეთში, რომლებიც იყვენ ჩაცმულები ამერიკულ ფორმაში და შეიარაღებული ამერიკულ იარაღით. იქ შექმნილია ნამდვილი ორგანიზაცია. ყოველი მოქმედება, ყოველი გამოსვლა იქ ერთსულოვანია. ისინი მოერიენ საფრანგეთს, ინგლისს, პოლონეთს და გადენენ ყირიმიდან თავიანთი მტრები. იმგენმა გადაყარეს ზღვაში იაპონელები. რამოდენიმე თვის შემდეგ რუსეთი ამერიკის დაუხმარებლად შესძლებს მიაღწიოს ციმბირის უკანასკნელ ნაპირამდის და უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი მალე განდევნიან იაპონელებს აზიის ადგილებიდან და კორეიიდანაც. ჩინეთს და ამერიკის შუა მაშინ არ იქნება გარეშე ტერიტორია. „ღია კარების“ პოლიტიკა, რომელსაც ამერიკა აწარმოებს 30 წელი ახლოა განხორციელებასთან. რუსეთის ხალხი არ მოითხოვს თქვენგან სიყვარულს, მან მითხრა მე: „უთხარით ამერიკის ხალხს, რომ მან გამოგვიგზავნოს ჩვენ ლოკომოტივები და ჩვენი არმია მანამდის არ შეჩერდება, სანამ იაპონელები არ იქნებიან განდევნილი ციმბირიდან. ისინი არ მიისწრაფიან დაპყრობისაკენ, მათ უნდათ მიიღონ მხოლოდ ის რაც მათ ეკუთვნით. დეე ამერიკამ, კანადამ, ავსტრალიამ და რუსეთმა გაანთავისუფლონ წყნარი ოკეანე. პოლიტიკური პირობები ამისათვის ისე მწიფე არასოდის არ ყოფილა, როგორც დღეს. კანადის და ავსტრალიის ინტერესები უთანხმდებიან ამერიკის ინტერესებს. ყველა ეს მოხდება იმ პირობით, თუ ინგლისის მუშათა პარტია ნებას არ მისცემს ინგლისს შეუკავშირდეს თავის არაბუნებრივ მოკავშირეებს. რუსეთი მხარს უჭერს ამერიკის პოლიტიკას. ახლა მდგომარეობა ისეთი არაა, როგორც მაშინ იყო, როდესაც იაპონიამ დაამარცხა რუსეთი. მაშინ ლაპარაკობდენ, რომ ერთი იაპონელი ოთხ რუსათ ღირსო, მაგრამ მაშინ რუსები იყვნენ მონები, დღეს კი ისინი თავისუფლები არიან, ისეთი თავისუფლები, როგორც არც ერთი ხალხი.

რუსები მალე სწავლობენ, ისინი არ არიან დაბადებულნი თავისუფალ ხალხად, მაგრამ დღეს იქ მეფობს დიდი თავისუფლება, როგორც ჯერ არსად არ ყოფილა. ახლოა ის დრო, როდესაც კომინისტურ წესწყობილებიდან დარჩება მხოლოდ უმნიშვნელო კვალები. არაა სხვა საშუალება ევროპის გადასარჩენად გარდა ვაჭრობის აღდგენისა რუსეთთან. ათი დღის შემდეგ, როდესაც მე შევკარი სავაჭრო ხელშეკრულება რუსეთთან, საფრანგეთმა განაცხადა, რომ ის თანახმაა რუსეთთან ვაჭრობის, ინგლისის თვალთახედვის ისარიც ასეთია. პირველად ისინი იცინოდენ, ახლა კი იმ სახელმწიფოებში, რომლებიც გაჩენილია რუსეთის ირგვლივ, მეფობს პანიკა. რუსეთი 500.000 კვადრატიულ მილ ტყეს მფლობელობს, ის მდიდარია თევზით და მხეცების ტყავით, ის წინადადებას გაძლევს თქვენ დააკმაყოფილოს 150. მილიონი მცხოვრები მან უკვე შეგიკვეთა თქვენ 3.000.000 დოლარის საქონელი, რომლის მიღების თანვე ის გამოგიგზავ-

ნით თქვენ ნამდვილ მასალას და დაკვირვებით „ღია კარების" პოლიტიკის განხორციელებაში. თქვენგანაა დამოკიდებული დაამყაროთ კეთილ მეზობლობა 600 მილიონ რუსეთის, ჩინეთის და კორეის ხალხთან, წყნარ ოკეანეზე სიმშვიდე დ შეძენა ისეთი აზრის, როგორსაც თქვენ ვერ ეღირსებით თქვენს დღეში.

### პოლონური ნაციონალიზმი,

ნაუენი, 28 ნოემბ. პლებისციტის მომწყობი პოლონეთის კომისარი კორფანტიმ თავის სააგიტაციო სიტყვით გაილაშქრა გერმანულ ცივილიზაციის წინაამდეგ; მან ნემეცურ შკოლებს და უნივერსიტეტებს „მოშენიკური" დაწესებულებები უწოდა. და მოუწოდებდა პოლონელებს ისე მოეპყრან გერმანიის მომხრეებს, როგორც მოღალატეებს. კორფანტიმ იმედი გამოსთქვა, რომ ზედა სილეზია პოლონეთს შეუერთდება, რომლის შემდეგ გერმანიის ყველა მომხრეები განდევნილნი იქნებიან, როგორც ძაღლები. გერმანიის გაზეთები აღნიშნავენ ასეთ უხეშ სიტყვას და მოელიან პასუხის მგებლობას პოლონეთის მთავრობას აწერენ.

### მეტოქეობასთან ბრძოლა.

რიგა, 25 ნოემბ. ინგლისის შრომის მინისტრმა განუცხადა ხალხთა ლიგას, რომ საჭიროა საერთაშორისო შრომის მომწესრიგებელ ორგანოს შექმნა.

## არ მოეწონათ.

ქრისტიანია, 26 ნოემბერი. საფრანგეთის მთავრობამ პროტესტი განუცხადა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რადგან ინგლისელებმა და ამერიკელებმა კონცესიები აიღეს საბჭოთა რუსეთიდან.

### არ სურთ ჩამორჩენა.

ბერლინი, 28 ნოემბ. მემარცხენე დამოუკიდებლებმა შეიტანეს შეკითხვა რეიხსტაგში: აპირებს თუ არა მთავრობა—საბჭოთა მთავრობასთან დიპლომატიურ კავშირის აღდგენას. გერმანიის გაზეთები საყვედურს გამოსთქვამენ იმის გამო, რომ მთავრობას ჯერ კიდევ არაფერი გაუკეთებია იმ მხრივ, რომ საბჭოთა რუსეთთან აღდგენილ იყოს სავაჭრო ურთიერთობა, როდესაც ინგლისი უკვე უსწრებს ამ მხრივ გერმანიას.

### [illegible] საბერძნეთში.

ლიონი, 29 ნოემბერი. ათინის ოფიციალურ წრეებში სამეფო დინასტიის კრიზისის შესახებ კიდევ მეფობს დიდი ოპტიმიზმი. საბერძნეთის ელჩის რომში, რომელიც აგერ ახალა მობრუნდა პარიზიდან, მოელიან ათინაში, სადაც იგი საბერძნეთის მთავრობას გააცნობს საფრანგეთის და იტალიის წრეების შეხედულებას საბერძნეთის საკითხის შესახებ. შემდეგ რალლისს განზრახული აქვს მთავრობისგან გამოითხოვოს ნებართვა ლონდონში და პარიჟში წასვლაზე. ათინაში მოვიდა საფრანგეთის ჯავშნოსანი „ვალდეკ რუსსო."

### ლეიგი მოგზაურობს.

ლიონი, 29 ნოემბერი. ვენიზელოსელებმა მოწოდება გამოუშვეს, რომელშიც აღიარებენ რომ საბერძნეთის ხალხი მეფე კონსტანტინეს ტახტზე დაბრუნებას მოითხოვსო, თუმცა 40 პროც. წინაამდეგი არიანო.

### მთავრობის მისიის გამგზავრება ანგორაში.

სტამბოლი, 10 ნოემბერი. „ბოსფორი" სწერს, რომ მთავრობის მისიის წასვლა ანგორაში იმას გვიჩვენებს, რომ მთავრობა ოპტიმისტურათ უცქერის ანატოლიასთან შეთანხმების საკითხს.

ქემალისტებთან შეხვედრამ ინებოლაში დადებითი შედეგები დატოვა, მთავრობა ახლა სპეციალურ მისიას გზავნის ანგორაში. ჩვენ ვიცით, რომ ეს მისია დაიწყებს მოლაპარაკების წარმოებას სევრის ხელშეკრულების პირობების ფარგლებში.

ლლოიდ-ჯორჯის განცხადება თემთა პალატაში სევრის ხელშეკრულების შესახებ, რომ იგი არ შეიძლება შეიცვალოს, ეს განცხადებანი, რომლებსაც ზურგს უმაგრებენ ლონდონი და პარიჟი, აქლავებს თევფიკ-ფაშის პოზიციას ანგორის მიმართ.

მისიის მეთავეა ფარუხი, რომელიც დიდი პოპულიარობით სარგებლობს.

მარშალი იზზეტ-ფაშაც, რომელიც კიდევ წავიდა ანგორაში დიდი პატივით სარგებლობს ქემალისტებს შორის, განსაკუთრებით ოფიცრებს შორის, რომლებიც მის სარდლობის ქვეშ იყვნენ. სალიხ ფაშა უკვე ძალიან დაახლოვებულია ქემალისტებთან.

ერთი სიტყვით მისიას დიდი შანსები აქვს.

მიაღწევს თუ არა იგი მიზნებს?"

### საბერძნეთ-ოსმალეთის შეთანხმებაზე.

სტამბოლი, 12 ნოემბერი. საბერძნეთ-ოსმალეთის დაახლოვების შესახებ გაზეთი „ალემდარი" სწერს:

„ამ მომენტიდან, როდესაც ჩვენ დავიწყეთ კითხვის გარჩევა, რომელიც ეხებოდა ჩვენს ქვეყნის მომავალს, გაზეთებმა ასტეხეს განგაში ჩვენს წინაამდეგ. იქამდის ალი-ქემალ-ბეიმაც არ დაგვზოგა ჩვენ და სასტიკად გამოილაშქრა ჩვენს წინაამდეგ.

მაგრამ მდგომარეობამ დაამტკიცა, რომ ჩვენ მართალი ვართ.

ჩვენში იდეამ საბერძნეთ-ოსმალეთის დაახლოვების შესახებ, რომელიც აღნიშნული იყო საბერძნეთის გაზეთებში, იპოვა როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგენიც.

პოლიტისმა, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, განუცხადა გაზ. „ბოსფორის" რედაქტორს, რომ ის დარწმუნებულია, რომ საბერძნეთი და ოსმალეთი მალე შეთანხმდებიანო, აგრეთვე ამ რამდენიმე ხნის უკან „ბოსფორი" იტყობინებოდა ვენიზელოსის და პაპარეროს განცხადებას საბერძნეთ-ოსმალეთის დაახლოვებაზე. და ჩვენი შეხედულება ამ საკითხში სრულიად უთანხმდება პირველ მინისტრის განცხადებას".

### „რუსეთის რევოლუცია და ჩვენი ვალახვეწილები".

ტრაპიზონი, 22 ნოემ. ასეთ სათაურით „ეპოხი" ათავსებს სტატიას, რომელშიაც სხვათა შორის ლაპარაკია:

„მთელი ქონება, ანდა უფრო კარგად რომ ვთქვათ მთელი შეკრა. რუსეთის ქაღალდის ფულებისა, რომელიც იქნა აქეთ გადმოტანილი. შარშანდელ ყუბანის კატასტროფის შემდეგ, ყირიმის სტუმართ მოყვარე ნაპირებიდან, ყირიმის დაკავების შემდეგ ბოლშევიკების მიერ ცხადდება ანულიაცია (გაუქმება) ამ ფულებისა. გუშინდელი მილიონერები დღეს მათხოვრებად გადაიქცნენ. ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი თანამემამულეების ბედი, ჩვენ ძალიან გვაწუხებს იმათი ქაოტიური მდგომარეობა".

### მუსტაფა-ქემალის პირობები.

სტამბოლი, 15 ნოემ. გაზ. „ბოსფორი" შემდეგს იტყობინება: „ქემალისტების პირობები, რომლებიც მათ ცენტრალურ მთავრობას წაუყენეს, შემდეგია: ადრიანოპოლის და სმირნის ევაკუაცია. სევრსკის ხელშეკრულობის იმ ადგილების შეცვლა, რომელიც შეეხება ფინანსიურ და ეკონომიურ საკითხებს. ამ ხელშეკრულების მეშვიდე მუხლის სრულიად გაუქმება. კაპიტულიაციის მოსპობა. საერთო ამნისტია და ისეთ კაბინეთის შექმნა, რომელსაც ხალხი ენდობა".

### ოსმალეთის კომუნისტები.

ტრაპიზონი, 22 ნოემბ. ბერძნული გაზეთი „ეპოხი" იტყობინება: „ტრაპიზონის გაზეთ „ისტიკბალის" ცნობების მიხედვით, ანგორის მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად განაცხადა, რომ ოსმალეთის კომუნისტურ პარტიის უსტავი ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებულიო. ამავე ცნობებით, არავის ნება არ აქვს გასწიოს ბოლშევიკური და კომუნისტური აგიტაცია თუ მათ არა აქვთ ოფიციალური ნებართვა და მოწმობა ფოტოგრაფიულ სურათით მიცემული ანგორის კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ".

### სოც.-დემოკრატიულ პარტიაში

მოსკოვი, 14 ნოემბ. ჩეხიის პარლამენტის სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის თათბირმა დაადგინა, რომ ის ღებულობს კომუნისტურ პროგრამას და ეთიშება პარტიას როგორც მარცხენა ფრთა, რომლის მეთაური არის შმერალი.

### ანატოლია და ხელშეკრულება

სტამბოლი, 15 ნოემ. გაზეთი „ალემანდარი" სწერს: „გვარწმუნებენ, რომ ამ დღეებში მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკება ანატოლიასთანო, თუ ეს მართალია ჩვენ გვიდით ამ მოლაპარაკების შედეგებს. ახლა მაინც უნდა ვიკითხოთ თუ როგორია მთავრობის პოზიცია ამ საკითხში და რამდენათ მოელის ის ამ საკითხში გამარჯვებას.

ანატოლია პირველად ყოვლისა მოითხოვს ხელშეკრულობის გადახედვას. რა თქმა უნდა ყველა ოსმალები იზიარებენ ამ შეხედულებას საუბედუროთ ცხოვრებაში მარტო სურვილი არ კმარა.

ნუ თუ ახლანდელ მთავრობას იმედი აქვს, რომ ეს გადათვალიერება შესაძლებელია?

თუ ეს მოხდა, მაშინ შესაძლებელია ანატოლიასთან შეთანხმება. წინაამდეგ შემთხვევაში მთავრობის ცდა უშედეგოთ დათავდება.

ჩვენი აზრით ანატოლიასთან შეთანხმება მტკიცედაა დაკავშირებული ხელშეკრულობის შეცვლასთან. ამისათვის მთავრობა, როცა ის აწარმოებს მოლაპარაკებას ანატოლიასთან, ამასთან ერთად მან (მთავრობამ) უნდა მიიღოს ზომები ხელშეკრულების შესაცვლელად. შესაძლებელია, რომ ასეთი ნაბიჯებიც გადადგმულია. თუ ეს არა, მაშინ მთავრობამ ახლავე უნდა დაიწყოს მოლაპარაკება ხელშეკრულობის გადასახედავათ.

### სევრსკის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

სტამბოლი, 15 ნოემბ. ხელშეკრულობის რატიფიკაციის გამო გაზეთი „ბოსფორი" სწერს:

„თევფიკ-ფაშის კაბინეთი არ ცდილობს უქნას რატიფიკაცია სევრსკის ხელშეკრულებას სულთანის უბრალო დეკრეტის დახმარებით. ის სთვლის ახლანდელ მომენტს არა ხელსაყრელ მომენტათ და ითხოვს რომ პირველ ყოვლისა იქნეს გამორკვეული ანატოლიასთან მოლაპარაკების შედეგები, რომელსაც ის აწარმოებს. და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ქემალისტები არავითარ დათმობებზე არ წავა, მაშინ ცენტრალური მთავრობა შეასრულებს მოკავშირეების მოთხოვნილებას.

თევფიკ-ფაშის კაბინეტის თვალსაზრისი სრულიად ლოღიკურია, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, რომ ანატოლიასთან არ გაჭიანურდეს მოლაპარაკება. როგორც ოსმალეთისათვის, ისე მოკავშირეებისათვისაც ახლანდელი მომენტის გაგრძელება არ შეიძლება".

### მობილიზაცია ანატოლიაში.

სტამბოლი, 20 ნოემ. „ბოსფორის" ცნობით, რიზიდან მისულები ლაპარაკობენ, რომ ანგორის მთავრობის გამოცხადებული მობილიზაცია ბრწყინვალედ ჩატარდა. ჯარში, უკანასკნელ გამარჯვების გამო დიდი აღფრთოვანებაა.

### რუსი გადახვეწილები.

სტამბოლი, 20 ნოემ. სტამბოლში რუს გადახვეწილების მისვლის გამო, კიდევ უფრო აიწია საქონლებზე ფასები და გამწვავდა ბინის საკითხი. ამისათვის სტამბოლის მთავრობამ აღძრა საკითხი უმაღლეს კომისარის წინაშე, რათა მან ნება არ დართოს გადმოხვეწილების სტამბოლში გამოხიზვნა.

### ლიუტფი-ბეი საბერძნეთ-ოსმალეთის შეთანხმების შესახებ.

ტრაპიზონი, 22 ნოემ. „ეპოქის" ცნობით, ლიუტფი-ბეი წინაამდეგია საბერძნეთ-ოსმალეთის შეთანხმების და ლაპარაკობს, რომ ეს ოსმალეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებაო. ოსმალეთის პოლიტიკური მოღვაწე ეთანხმება მუსტაფა-ქემალის მოთხოვნილებას სევრის ხელშეკრულობის გადახედვაზე და ბერძნების განდევნას ანატოლიიდან.

### ფიცრის გაგზავნა ინგლისში.

მოსკოვი, 15 ნოემბ. სავაჭრო დელეგაციამ ამხ. კრასინის მეთაურობით ინგლისში მიჰყიდა ინგლისის ფირმას დჟ. ხილგორს რუსულ ფიცრის პარტია 8.000 კუბ. მეტრი ე. ი. 400 ვაგონამდის. ამ საერთო რიცხვიდან 180 ვაგონი გაგზავნილი იქმნა რეველში, სადაც ფიცარს გადატვირთავენ გემებზე.

### მექსიკელ კომუნისტების ყრილობა

მოსკოვი, 29 ნოემ. ქ. მექსიკაში გაიხსნა მექსიკელ კომუნისტების ყრილობა, რომელზედაც არიან შემდეგ პროვინციების წარმომადგენლები: მექსიკის, პუებლოსი, ვერა-კრუსის, იუკატანის და სხვ.

### სოციალისტურ დეპუტატების დაპატიმრების შესახებ

ადესა, 28 ნოემ. რუმინიის პარლამენტში იქნება შეტანილი შეკითხვა სოციალისტურ დეპუტატების შესახებ. ოპოზიცია ერთსულოვნად აღიარებს, რომ

---

ვლ. ლენინი.

# დამფუძნებელი კრების არჩევნები და პროლეტარიატის დიქტატურა.

სოციალ.-რევოლუციონერების კრებულში—„წელიწადი რუსეთის რევოლუციისა 1917—18 (მოსკოვი, 1918 წ. მოსკოვის გამომცემლობა „მიწა და თავისუფლება") მოთავსებულია ნ. ვ. სვიატიცკის მეტად საინტერესო სტატია: „სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნების ჯამი" (წინასიტყვაობა). ავტორი 79 საერთო რიცხვიდან 54 საარჩევნო ოლქის შესახებ გვაძლევს ციფრებს.

ავტორის კვლევის ფარგლებში თითქმის მთელი ევროპის რუსეთის ყველა გუბერნიები შედის. ამ რიცხვში არაა შეტანილი გუბერნიები ოლონეცის, ესტლიანდიის, კალუგის, ბესარაბიის, პოდოლის, ორენბურგის, იაკუტის და დონის მხრის ოლქი.

I

54 საარჩევნო ოლქში 1917 წ. ნოემბერში ხმა მისცა 36.262,560 კაცმა. ავტორს მოყავს ციფრი 36.257,960, რომელიც განაწილებულია 7 სხვა და სხვა რაიონზე (აქ ნაანგარიშევია არმიაც და ფლოტიც) მარა, როცა ის ცალ-ცალკე, სხვა და სხვა პარტიების სასარგებლოთ მიცემულ ხმებს ანგარიშობს, ჯამი ყველა ამ ხმების სწორეთ ჩემ მიერ ნაჩვენებ ციფრს უდრის.

პარტიის მიხედვით ხმების დანაწილება ასეთია: რუსმა ესერებმა მიიღეს 16,5 მილიონი ხმა და თუ ამ რიცხვს სხვა ერიონების ესერების ხმებსაც (უკრაინელები, მუსულმანელები და სხვა) მივუმატებთ, მაშინ მათი ხმა 20,9 მილიონს აღწევს, ე. ი. 58 პროც.

მენშევიკებმა მიიღეს 668,064 ხმა და თუ მივუმატებთ ანალოგიური ჯგუფების ხმებსაც, მაგალ. „სახალხო სოციალისტებს" (312 ათასი) „ერთობის" (ედინსტვოს—25 ათასს), კოოპერატორებს (51 ათასს), უკრაინელ ს. დ. (95 ათასს), უკრაინელ სოციალისტებს (506 ათასს), ნემეც სოციალისტებს (44 ათასს) და ფინელ სოციალისტებს (14 ათასი), მივიღებთ ჯამს 1,7 მილიონს.

ბოლშევიკებმა მიიღეს 9.023,963 ხმა.

კადეტებმა მიიღეს 1.856,639 ხმა. ამას უნდა მიემატოს: „მიწათ მესაკუთრეთა და მიწათ მფლობელთა კავშირი" (215 ათასი), მემარჯვენე ჯგუფები (192 ათასი), სტარო-ობრიადცები (73 ათასი), ნაციონალისტები: ებრაელები (550 ათასი), მუსულმანები (576 ათასი), ბაშკირები (195 ათასი), ლატიშები (67 ათასი), პოლონელები (155 ათასი), ყაზახები (97 ათასი), ნემცები (130 ათასი), ბელორუსები (12 ათასი) და სხვადასხვა ჯგუფების ორგანიზაციების სიები (418 ათასი), მივიღებთ მემამულეების და ბურჟუაზიული პარტიების ხმების საერთო ჯამს 4,6 მილიონს.

ცნობილია, რომ რევოლუციის მთელი ხანის—1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე ესერებს და მენშევიკებს ბლოკი ჰქონდათ შეკრული. ამას გარდა რევოლუციის მთელმა განვითარებამ, როგორც ამ დროს განმავლობაში, ისე მას შემდეგაც გარკვევით დაამტკიცა, რომ ორივე ეს პარტია ერთად წვრილ-ბურჟუაზიულ-დემოკრატიის წარმოადგენს, რომელსაც თავი სოციალისტათ მოაქვს და უწოდებს კიდეც თავის-თავს ასეთ პარტიათ ისე, როგორც მეორე ინტერნაციონალის სხვა პარტიები.

დამფუძნებელ კრების არჩევნებში ყველა მონაწილე პარტიები რომ სამ მთავარ ჯგუფათ დავყოთ, ჩვენ ასეთნაირ ჯამს მივიღებთ:

| | | |
|---|---|---|
| პარტიაში პროლეტარიატისა (ბოლშევიკები) | 9,02 მილ. | 25% |
| პარტიები წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიისა (ესერები, მენშევიკები და სხვა ამის მსგავსი). | 22,62 | 62% |
| პარტიები მემამულეების და ბურჟუაზიის (კადეტები და სხვა მის მსგავსი). | 4,62 | 13% |
| სულ | 36,26 მილ. | 100% |

მოვიყვანოთ ახლა ცნობები, რომლებიც ნ. ვ. სვიატიცკი რაიონების მიხედვით იძლევა:

მიცემული ხმების რიცხვი ათასობით.

| ოლქებში ¹) (არმიიდან ცალკე) (რუსეთში%) | ესერების | ბოლშევიკების% | კადეტების% | სულ |
|---|---|---|---|---|
| ჩრდილოეთის | 1.140,0.38 | 1.177,240 | 393,013 | 2.975,1 |
| ცენტრ. სამრეწველო | 1.987,38 | 2.305,644 | 550,210 | 5.242,1 |
| ვოლგის მხრის შავ-მიწიადობის | 4.733,970 | 1.115,616 | 267,04 | 6.764,4 |
| დასავლეთის | 1.242,143 | 1.282,244 | 48,12 | 2.961,4 |
| აღმოსავლეთ-ურალის | 1.544,743(62%) | 443,912 | 181,35 | 3.583,4 |
| ციმბირის | 2.094,875 | 273,910 | 87,53 | 2.786,1 |
| უკრაინის | 1.878,125(77%) | 754,010 | 277,54 | 7.581,4 |
| არმია და ფლოტი | 1.885,143 | 1.671,338 | 51,91 | 4.363,4 |

რაიონების მიხედვით შეკრებილ ამ ცნობებიდან სჩანს, რომ დამფუძნებელი კრების დროს ბოლშევიკები იყვნენ პროლეტარიატის პარტია, ხოლო ესერები—გლეხკაცობის. წმინდა გლეხურ რაიონებში, ველიკოროსებში (ვოლგის მხრის შავ ნიადაგ. ციმბირი, აღმოსავლ. ურალი) და უკრაინელებში ესერებმა მიიღეს 62—77 პროც. ხმა. სამრეწველო ცენტრებში ესერებს ბოლშევიკები სჭარბობდენ ეს გადაჭარბება ამ რაიონის მიხედვით შეკრებილ ამ ცნობებით, რომელიც სვიატიცკის მოყავს, შემცირებულია, ვინაიდან მას უფრო სამრეწველო ადგილების ცნობები ნაკლებ განვითარებულ ადგილების ან სულ ჩამორჩენილის ცნობებთან ერთათ აქვს მოყვანილი. გუბერნიების მიხედვით შედგენილ ცნობები კი, რაც სვიატიცკის მოყავს პარტიების შესახებ ესერების, ბოლშევიკების, კადეტების და შემდეგ „ნაციონალური და სხვა ჯგუფების, გვიჩვენებს შემდეგს:

ჩრდილოეთის ოლქში ბოლშევიკების რიცხვით გადამეტება მეტად მცირეა: 40 პროც. წინაამდეგ 38 პროც., მაგრამ ამ ოლქში არა სამრეწველო რაიონები გაერთიანებულია (როგორც მაგალითათ გუბერნიები არხანგელის, ვოლოგდის, ნოვგოროდის, პსკოვის), სადაც ესერები სჭარბობდენ, სამრეწველო რაიონებთან: პეტროგრადი სატახტო ქალაქში—45 პროც. ბოლშევიკები (ხმის რაოდენობით), 16 პროც. ესერები; პეტროგრადის გუბერნიაში — 50 პროც. ბოლშევიკები, ხოლო 26 პროც. ესერი; ლიფლიანდიაში—72 პროც. ბოლშ. 0 ესერი. ცენტრალურ სამრეწველო რაიონში მოსკოვის გუბერნიამ მოგვცა 56 პროც. ბოლშევიკი, 25 პროც. ესერი. მოსკოვის საქალაქო ოლქმა—25 პროც. ბოლშევიკი, ესერი 8 პროც.; ტვერის გუბერნიამ—54 პროც. ბოლშ., ესერი 39 პროც.; ვლადიმირის გუბერნიამ — 56 პროც. ბოლშევიკი, ესერი 32 პროც.

აღვნიშნავთ გაკვრით, თუ რა სასაცილოა ამ ფაქტების შემდეგ ლაპარაკი იმაზე, რომ ბოლშევიკებს მხარს უჭერდა ვითომ მხოლოთ პროლეტარიატის „უმცირესობა"! და ასეთი სიტყვები კი ჩვენ გვესმის, როგორც მენშევიკებისგან (რომლებიც 668 ათასი ხმა მიიღეს, ხოლო ამიერ-კავკასიის დამატებით კიდევ 700-800 ათასი ბოლშევიკების 9 მილიონის წინაამდეგ) ისე სოციალ გამცემლების მეორე ინტერნაციონალისგანაც.

(გაგრძელება იქნება).

---

¹) ავტორს რუსეთი მთლათ ჩვეულებრივ არა აქვს დანაწილებული: ჩრდილოეთის: არხან. ვოლოგოდ. პეტროგრ. ნოვგოროდი, პსკოვ. ლიფლიან. ცენტრ. სამრეწველო: ვლადიმ. კოსტრ. მოსკოვ. ნიჟეგორ. რიაზ. ტულს. ტვერ. იაროსლ. —ვოლგის შავნიადაგიან. ასტრ. ვორონეჟ. კურსკ. იაროს. პენზ. სამ. სარატ. ტამბოვ. ზაპ. ვიტე . მინსკ. მოგილევ. სმოლ.—აღ. ურალი. ვიატკ. კაზ. პერ. უფ.—ციმბირის, ტობოლ. ტომს. ალტ. ენის. ირკ. აბ. პრიამ.—უკრაინა: ვოლინ. ეკატერინოს. კიევ. პოლტ. ტავრიდის ხარკ. ხერს. ჩერნიგორ.

²) ფრჩხილებში ჩასმული ციფრი 62% მიღებულია სვიატიცკის მიერ იმის გამო რომ ის მუსულმან და ჩუვაშ ესერების რიცხვს უმატებს.

³) ციფრი 77% მე მომყავს, რადგან აღნიშნულ რიცხვს უკრაინელ ესერებს ვუმატებ.

# დღიური.

ბალახოვიჩის არმიის წინააღმდეგ ოპერაციების დროს წითლებმა ტყვეთ წაიყვანეს 120 ოფიცერი, 4540 ჯარის კაცი, 4 ზარბაზანი, 2 ყუმბარების ყუთი, 40 ტყვიის-მფრქვეველი, 7 ავტომატი და სხვ.

პეტლიურის ჯარების ნაწილები, რომლებიც გადავიდენ რუმინიაში, განიარაღებულია.

უნგრეთში მოხდა ნაციონალური ხასიათის რევოლიუცია, ხორტი ვენაში გაიქცა.

სერბიის ჯგუფის ყრილობამ მიიღო მესამე ინტერნაციონალის 21 პირობა.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სტრასბურგის სექციამ გადასწყვიტა შეუერთდეს მესამე ინტერნაციონალს.

რუმინიის პარლამენტში ოპოზიციას შეაქვს შეკითხვა სოციალისტურ დეპუტატების დატუსაღების შესახე.

ფინეთის სეიმის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ლიდერს ტანნერს მიანდვეს ახალი კაბინეტის შედგენა.

ჩიჩერინმა გაუგზავნა კერზონს ნოტა ბათუმის შესახებ.

---

**სოციალისტ დეპუტატების დაპატიმრება კონსტიტუციის აშკარა დარღვევაათ.**

**რუმინიის პრესის დევნა**

ადესა, 29 ნოემ. რუმინიაში ცენზურა ისევ მძვინვარებს. უკანასკნელ დღეებში გაზეთებში დიდი სიფრთხილით აქვეყნებდენ ვრანგელის დამარცხებას. ბურჟუაზიული გაზეთებიც კი გამოდიან თეთრ სვეტებით. სოციალისტების გაზეთები „სოციალიზმი" აცხადებს, რომ ცენზურის აუტანელობის გამო, გაზეთი თავის არსებობას შესწყვეტსო.

**კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციები გერმანიაში.**

ნაუენი, 28 ნოემბერი. (დასაწყისი არ არის მიღებული). გერინგსის რადიო—ამერიკაში)... ფონ კარი—ბავარიის პრემიერი მიდგა ბერლინში კანცლერ ფერენბახთან და სიმონსთან მოსალაპარაკებლათ ბავარიის სამოქალაქო ლაშქარის განიარაღების შესახებ. ეს ლაშქრობა იწყობილობა სამხედრო წესებით და ანტანტამაც კი მოითხოვა მათ განიარაღება-დაშლას. გარდა ამ სამოქალაქო ლაშქრობისა ბავარიაში არის ეგრეთვე „ორგეში"—ე. ი. „ეშერიხის ორგანიზაცია". ბავარიულ სამართლის დოქტორ ეშერიხმა შეადგინა ეს ორგანიზაცია. ბავარიის ლაშქრობის მიზანი იყო ბავარიის საზღვრებში წესრიგის დაცვა. ორგეშის ორგანიზაცია მოფენილია მთელს გერმანიაში. დოქტორ ეშერიხი ბერლინსა და ლონდონს ყოფნის დროს არწმუნებდა მთავრობას, რომ მისი (ეშერიხის) ერთად ერთი მიზანია მთავრობის დაცვა, მშვიდობიანობის აღდგენა და ყოველგვარ რევოლიუციონურ გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლა, აგრეთვე მისი მიზანია როგორც კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაც. ბერლინის მთავრობამ მართლაცდა აუკრძალა ეშერიხს პრუსიაში და პრუსიაში დაშალა კიდეც მისი ორგანიზაციები. საქსონიის შინაგან საქმეთა მინისტრ კაუნმა უთხრა ეშერიხს, რომ საქსონიის მთავრობას აქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ორგეში მუშაობს არა ლეგალურ ორგანიზაციასთან ერთად.

ეს ორგანიზაცია არის—„მონარქიის აღმდგენელი ლიგა, აგრეთვე საქსონიის მთავრობას ცნობა აქვს იმის შესახებ, რომ ორგეშის ორგანიზაციების წევრები იღებდენ მონაწილეობას კაპის აჯანყებაში. საფიქრელია, რომ ეშერიხი არც მომავალში დაუშლის თავის ორგანიზაციების წევრებს იმუშაონ მონარქისტებთან ერთად. სოციალისტურ და დემოკრატიულ პრესის აზრით ორგეში წმინდა მონარქისტულ სამხედრო შეთქმულობის ორგანიზაცია არისო. ამ ორგანიზაციის სული და გული არის თვით ეშერიხი, რომელიც ამოფარებულია პატრიოტიზმის ნიღაბს და სურს აღადგინოს გერმანიაში ჰოჰენცოლერების ან ვიტელს ბახების ტახტი. ეს გაზეთები მოუწოდებენ აგრეთვე ბავარიის მუშებს შეებრძოლონ აგრეთვე ბავარიის სამოქალაქო ლაშქრობის არსებობას. „ტაიმსის" კორესპოდენტი შეეკითხა ფონკარს, თუ რატომ არ დაშლიან ბავარიის ლაშქრობას ისე, როგორც დაშალეს ლაშქრობა გერმანიის სხვა სახელმწიფოებში. მინისტრმა ამაზე უპასუხა, რომ სამოქალაქო ლაშქრობას არ აქვს პოლიტიკური ხასიათი და მისი დაშლა არ შეიძლება, სანამ იძულებულია ჩვენი ქვეყანა ებრძოლოს ბოლშევიზმს და სპარტაკიზმსო.

ჩვენი სამოქალაქო ლაშქრობა—ამბობს მინისტრი დაიბადა დაიბადა 1919 წ. სპარტაკელების ბატონობის საშინელ ხანაში, როდესაც სპარტაკელებმა ხელში ჩაიგდეს ეს უიარალო ქვეყანა, დადიოდენ ავტომობილებით, ართმევდენ მცხოვრებთ ოთხფეხ საქონელს, ფულს, ცხენებს, ვინც კი წინააღმდეგობას გაუწევდა მათ, ასეთებს კლავდენ კიდეც. სამოქალაქო ლაშქრობის მიზანი კი იყო გლეხების შეიარაღება ასეთ ყაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლისათვის".

ბავარიის პოლიცია მხოლოდ ეხლახან შეუდგა თავის კადრების გაწმენდას ბოლშევიკურ და მის თანამოაზრე ელემენტებისაგან. პოლიციის რიგებში მხოლოდ 8 ათასი კაცი დარჩა. როგორც „ტაიმსის" კორესპოდენტს განუცხადა მინისტრ კარმა-ეს რიცხვი სრულიადაც არ არის საკმაო ანარქისტებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველათ, რომელთაც ვრანგელის დამარცხების შემდეგ ისევ წამოყვეს თავიო. რაიმე მიზეზების გამო პოლონეთ-რუსეთის ომი შეიძლება ისევ განახლდეს და ამ დროს, როგორც ბავარია, ისე მთელი გერმანია ისევ დადგება წითელი აჩრდილის საფრთხის წინაშე.

ბავარიის სამოქალაქო ლაშქრობაში ირიცხება 190 ათასი კაცი და ბავარიის მთავრობა უძლურია განაიარაღოს ის, მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთის მთავრობა იმუქრება რურის ოლქის ოკუპაციით. ბავარიის გლეხი არავის დაანებებს თავის თოფს, რომ მახლობელ აჯანყების დროს დახვრიტონ ის.

კორესპოდენტის შეკითხვაზე ეშერიხისა და მისი ორგანიზაციის ხასიათის შესახებ მინისტრმა უპასუხა: „ჩვენ ვიცით რომ ამ ორგანიზაციას შეთქმულობითი ხასიათი აქვს. ბავარიის მთავრობა ნებას რთავს ამ ორგანიზაციამ იარსებოს მანემდის, სანამდის ეს ორგანიზაცია კანონიერ საზღვრებში მოქმედებს. დოქტორ ეშერიხის და მისი ორგანიზაციის მოქმედება ჩვენ არ შეგვეხებაო".

**ენვერ-ფაშა პოლონეთის ომის შესახებ.**

ნაუენი, 28 ნოემბერი. პეტროგრადში მოსკოვში, რეველში და ბაქოში ყოფნის შემდეგ ენვერ-ფაშა აცხადებს: „საბჭოთა რუსეთი ისე აფასებს რიგის ზავს, როგორც ბრესტ-ლიტოვისას. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მოსკოვმა პირველ შესაძლებლობისთანავე ომი გამოუცხადოს პოლონეთის იმპერიალიზმს". საკითხი იმის შესახებ, გამოვა თუ არა რუსეთი პოლონეთის წინააღმდეგ გაზაფხულზე თუ უფრო ადრე ევროპის მთავრობას მოსვენებას არ აძლევს. ხმებია რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობის გამწვავებაზე და წითელი ჯარების დასავლეთის საზღვრებზე გადაჯგუფების შესახებ. ვარშავიდან მიღებულ ცნობით, პოლონეთის გენერალური შტაბი მოსალოდნელათ სთვლის რუსეთთან ომის განახლებას. მე რადიოთი შევეკითხე ჩიჩერინს იმის შესახებ, თუ მართლა შესაძლებელია პოლონეთთან ომის განახლება? მივიღე პასუხათ: „მოსკოვი, 25 ნოემბერი. მოსალოდნელი იყო, რომ ანტანტა თავისი გაიძვერულ თავდასხმას რუსეთზე თუ არ შესწყვეტდა. ამ პროვოკაციული ხმების მიზანია ახალი გართულების გამოწვევა ხელშეკრულების შეფერხება. თქვენი რადიოს მიერ მიღებული ხმა, არის რუსეთის კონტრ-რევოლიუციის საბრალო ნაშთებს შეურგავრცელებული ხმები. ჩიჩერინი.

**სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა.**

მოსკოვი, 28 ნოემბ. ლეიგმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობამ არამც თუ ნება დართო რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას, არამედ მას გადაწყვეტილი აქვს ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს მას. ფიქრობენ, რომ ეს შედეგია ვანდერლინის მოქმედების. საფრანგეთის მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს საბჭოთა მთავრობის ცნობას. საფრანგეთის ცნობილი ფინანსისტები აცხადებენ, რომ ევროპა უნდა გაჰყვეს ამერიკის მაგალითსო, რომ ევროპის ეკონომიურათ გამომთელება შეუძლებელია, თუ რომ ამ საქმეში რუსეთი არ მიიღებს მონაწილეობას. კაშენის აზრით საფრანგეთის მიერ ამ ახალ საგარეო კურსის მიღება ინგლისის ზეგავლენით მოხდა. თემთა პალატაში ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ სავაჭრო ხელშეკრულების ტექსტი რამოდენიმე დღის შემდეგ წარედგინება კრასინსო. საკითხზე მეფის ვალების შესახებ ბონარ ლოუ არ იძლევა პირდაპირ განმარტებას. ის ამბობს, რომ ეს კითხვა შემდეგ იქნება გარჩეულიო.

გაზ. „დეილი ქრონიკლი" კმაყოფილია მთავრობის ასეთი გადაწყვეტილების და ამბობს, რომ პირობების ხელის მოწერის დაგვიანებას მხოლოდ საქმის ტეხნიკური მხარე გამოიწვევსო.

**გერმანიაში**

მოსკოვი, 28 ნოემ. მთელ გუბერნიაში ხდებოდა მცხოვრებთა განიარაღება, მხოლოდ ორგეშის ორგანიზაციას მრავლათ აქვს იარაღი და სამხედრო მასალები. პორტსდამში აღმოჩენილ იქნა იარაღის საწყობები, რომლებიც ორგეშის ორგანიზაციას ეკუთვნოდა. ნახეს 2037 ტყვიისმფრქვეველი, 4 მილიონი ტყვია და 58 ათასი თოფი, ათასი ყუთი ხელის ყუმბარები. რეიხსტაგში დიდი კამათი გამოიწვია სოციალისტების განცხადებამ, რომ გოგენცოლერების საშუალებით საზღვარ-გარეთ გადის კაპიტალი. გიულერმა, რომელმაც ეს განცხადება შეიტანა, დაასახელა გოგენცოლერის ყველა იმ წევრთა სახელები, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ ამ ოპერაციაში გრუსლერის კანტორასთან ერთად. ამ კანტორის უფროსი გზავნიდა საზღვარ-გარეთ მილიონობით ფულს, რომ ნალოგების აღახდა თავიდან აეცილებია.

# საბჭოთა რუსეთში

**რუსეთის ელექტროფიკაცია.**

მოსკოვი, 20 ნოემბერი. რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ კრიჟანოვსკიმ „იზვესტიის" თანამშრომელთან ამ კომისიის მუშაობის შესახებ შემდეგი რამ სთქვა:

ელექტროფიკაციის სახელმწიფო კამისიამ სერთოთ თითქმის სულ დაამთავა ელექტროფიკაციის საერთო გეგმის შემუშავება ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებდენ ასზე მეტი ელექტროტეხნიკები და მრავალი გამოჩენილი ტეხნიკური ძალები. ჩვენ განზრახული გვაქვს მახლობელ 10 წლის განმავლობაში ევროპიულ რუსეთისთვის მოვაწყოთ 27 ელექტრონის სადგური და 3 ამგვარივე სადგური დასავლეთ ციმბირისთვის და თურანისთვის 27 სადგური ერთ ნახევარი მილიონი კილოუტის სიძლიარის, რომლებიდან 500 ათასი წლის ენერგიიდან უნდა იქნეს და 1 მილიონი სათბობ მასალიდან. 1918 წელში გაკეთებულ იქნა დიდი ელექტრონის სადგური—„ელექტროპერედაჩა" და დიდრონი ელექტრო-სადგურები მოსკოვში და პეტერბურგში, რომელნიც ევროპიული გემოვნებაზეა მოწყობილი. რუსეთის ელექტროფიკაცია ომამდისაც იყო განზრახული, მაგრამ ამ ჟამათ ელექტროფიკაციის განვითარების პირობები საგრძნობათ გაუმჯობესდა.

პირველ ყოვლისა ჩვენ ტრანსპორტის კრიზისს მივაქციეთ ყურადღება. ჩვენ გამოვყავით განსაკუთრებული ჯგუფი სპეციალისტებისა რკინის გზების ელექტროფიკაციის საკითხზე სამუშაოთ. დიდი მუშაობის შემდეგ მათ იმ დასკვნამდის მივიდენ, რომ რკინის გზის ელექტროფიკაციის საშვალებით ორი ამოცანა გადაწყვიტონ: მერიდიანულ მიმართულებით—მოაწყონ ელექტროფიკაცია მოსკოვ-კურსკის რკინის გზაზე და მათ რტოებზე დონეცის რაიონამდის. აგრეთვე ელექტრონის ტრანსპორტით სად. „ბელაია კალისტვას" საშვალებით შეაერთონ სამხრეთ დონეცის ოლქი ცარიცინთან, რომელიც გასავალი იქნება დონეცის ანტრაციტის ოლგის მიდამოებზე.

დიდი ელექტროფიკაციის გეგმიდან ამ ჟამათ ჩვენ შემდეგ სამუშაოს ვასრულებთ. ყველაზე უფრო ჩვენ გავაფართოვეთ თავისი სიდიდით ცნობილი ელექტრონული სადგური „ელექტროპერედაჩა"; დადგმულია ახალი ტურაბინა 5 ათასი კილოუატიანი 10 ათასი კიზოუტის მაგიერ). მოახდინეს ტორფის დამუშავების მეხანიზაციის ცდები, რასაც კარგი შედეგი მოყვა. უნდა მოველოდეთ, რომ მოკლე დროში ტორფის დამუშავების რეორგანიზაცია მოხდება.

ამავე დროს დიდი შრომა დაიხარჯა შატურის სახელმწიფო სადგურის მოსაწყობათ ტორფის ფინებზე. აქ დაამთავრეს კიდეც ერთი 5 ათასი კილოვატიანი სადგურის მოწყობა. ტორფის დამუშავება გაძლიერებულია.

სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა მდ. ოკაზე კაშირის რაიონის სადგურის მოსაწყობათ, რკინის გზის ორი მაგისტრალის ახლოს) რომელიც მოსკოვის ნახშირის რაიონში მიდის. ეს სადგური 80 ვერსზე ახლავს მოსკოვს. მთავარი სამუშავო დამთავრებულია.

ამას გარდა აკეთებენ სადგურს დეიკოვის რაიონში ივანო-ვოზნესენსკის რაიონში. პეტერბურგის ახლო სწარმოებს მდინარე ნევაზე ერთი სადგურის შენება, რომლის დამთავრებას ნახევარი წელში მოელიან. ელექტროფიკაციის სფეროში ყველაზე უფრო დიდი დაწყებულებათ უნდა ჩაითვალოს მდ. ველხოვზე გიდრავლური სადგურის მოწყობა, რომლის სიდიდე 80 ათასი კილოუატტას უდრის და მდ. სვირზე—140 ათასი ცხენის ძალის.

ვოლხოვის რაიონის პასუხის მგებელი ხელმძღვანელი ირწმუნება, რომ სადგურის შენება 1924 წელში დამთავრდებაო.

ურალში სადგურის კეთება დაწყებულია კიზელოვის მადნებზე. განზრახულია საჩქაროთ გააკეთონ სადგურები ჩელიაბინის მადნებზე, ეგორშინსკის აანტრაციტზე და გიდრავლური სადგური მდ. ჩუსოვაიაზე".

# რევოლიუციის ფრონტზე

**სამხედრო ოპერატიული 29 ნოემბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის რევოენსოვეტის საველე შტაბისა.**

მოსკოვი, 30 ნოემბერი. ბალახოვიჩის წინააღმდეგ ბრძოლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა წამოიყვანეს ტყვეთ: 120 ოფიცერი, 4540 ჯარის კაცი; ხელთ იგდეს 20 ყუმბარებიანი ყუთი, 40 ტყვიისმფრქვეველი, 7 ავტომატი და სხვა დიდი სამხედრო დავლა.

რესპუბლიკის რევოინსოვეტის საველე შტაბის ვოენკომი დანიშევსკი.

**რევოლიუცია უნგრეთში.**

ოდესა, 28 ნოემბერი. რუმინიის გაზეთების ცნობით, ჰუნგრეთში იფეთქა რევოლიუციამ, რომელსაც აქვს ნაციონალური ხასიათი. ხორტი გაიქცა ვენაში.

**პეტლიურის ჯარების განიარაღება.**

ოდესა, 28 ნოემბერი. ბუქარესტიდან მოსულ ცნობებით, პეტლიურის ჯარის ნაწილები, რომლებმაც წითელ არმიის შეტევის გამო დაიხიენ ბესარაბიისაკენ, იქ რუმინიის მთავრობის განკარგულებით განიარაღებულ იქმნენ.

# სატარიფო პალატა და მშრომელები.

„ძირს სატარიფო პალატა, რომელიც საზღვრავს მშრომელების სამუშაო ქირას და არ საზღვრავს კაპიტალისტების მოგებას".

თბილისის მუშათა გამოსვლა 1 მაისი 1920 წ.

აგერ თითქმის ორი წელიწადია, რაც სატარიფო პალატა არსებობს. მას ქონდა მიზნათ შემთანხმებელი კომისიის და არბიტრის როლი ეთამაშა მუშათა კლასს და მწარმოებლების შორის. ხსენებულ დაწესებულებაში შედის ერთი მხრით მწარმოებლების და მეორე მხრივ მუშათა წარმომადგენლები. ამ უკანასკნელებს ქვიათ სახელათ მუშათა წარმომადგენლები, ნამდვილათ კი ისინი არიან პროფესიონალური ბიუროკრატიის წარმომადგენლები.

რა ქონდა დასახული მიზნათ ამ „პარიტეტულ" დაწესებულებას? მოესპო მუშათა ეკონომიური მოძრაობა, შეეჩერებინა მათი ბრძოლა თავის ინტერესების დასაცავათ. ვერც ერთი მუშათა ორგანიზაცია და პროფეს. კავშირები ვერ წაუყენებდენ მწარმოებლებს ეკონომიურ მოთხოვნილებას. გაიხსენეთ სატარიფო პალატის ცირკულიარები, რომელშიაც ნათქვამია, რომ კოლექტიური ხელშეკრულების ის პუნქტები, რომელნიც ეხება ხელფასის განსაზღვრას გაუქმებულია. ამ ცირკულიარმა გამოიწვია პროტესტი ლითონზე მომუშავეთა კავშირის, რადგანაც კოლექტიური ხელშეკრულობით მათგან მოპოებული სამუშაო ხელფასი, თანახმად სატარიფო პალატის დადგენილებისა, შემცირებული იქნა. ამრიგათ მშრომელებს წაერთვა უფლება ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლისა. პოლიტიკურზე კი ზედმეტია ლაპარაკი. პროფესიონალური ბიუროკრატია, მუშათა კლასის გამცემლები, მუშებს ეუბნებოდენ:"

— რათ გინდათ თქვენ, რომ თავი იმტვრიოთ და გაფიცვები მოახდინოთ. აი სატარიფო პალატა, ჩვენ აქ ხელში გვყავს მთელი საქართველოს მწარმოებლები. მათი წარმომადგენლების სახით; რასაც ჩვენ მოვინდომებთ, იმას გავიტანთო. მუშებმა კარგათ იცოდენ მათი სურვილები და მიუხედავათ რეპრესიებისა, ისინი პროტესტებს უცხადებდენ სატარიფო პალატის დადგენილებებს.

დავიწყებას მივსცეთ შარშანდელი წელი და გადავხედოთ მსოფლიო რევოლიუციისათვის ფრიად მნიშვნელოვან 1920 წელში სატარიფო პალატის მუშაობას.

1919 წლის შუა დეკემბრიდან საშინელი სისწრაფით აიწია ფასი სურსათ-სანოვაგეზე. სატარიფო პალატას ყოველ მხრიდან მოდიოდა მოთხოვნილებანი. მშრომელები, უკიდურეს გაჭირვებამ აიძულა სატარიფო პალატისათვის მიემართა, რომელმაც 12 იანვრამდი აჭიანურა საქმე და შემდეგ კი იძულებული იყო გამოეტანა დადგენილება 60 პროცენტის მომატებისა, მაშინ, როდესაც მათივე ცნობით ცხოვრება გაძვირებული იყო 80 პროც. ამ მომატებით ისარგებლეს არა მუშებმა, არამედ მწარმოებლებმა. მომატების დამტკიცების მეორე დღესვე რთიორათ ასწიეს ფასები ყოველ სურსათ-სანოვაგეზე. კერძო მწარმოებლებს უკან გასდია სახელმწიფომ და ქალაქების თვითმართველობებმა. გააორკეცეს რკინის გზის და ტრამვაის სამგზავრო ფული. სახელმწიფო საწყობებში შენახული ნივთების ფასი გაიზარდა ერთი-ათად. ალარ იცოდენ, ვის რომლისთვის მოესწრო, სახელმწიფოს კერძო მწარმოებლებისათვის, თუ ამ უკანასკნელს სახელმწიფოსათვის. ამ ვაკხანალიამ მშრომელების მდგომარეობა იმაზე უფრო გაუარესა ვიდრე ეს იყო იანვრის მომატებამდე. ვერაფერი ვერ ქნა ნახევარ გირვანქა პურმა და სამ თვეში ნახ. გირ. შაქრის მომარაგების ფონდიდან მიღებამ. მუშათა კავშირებში ხელახლა დაისვა საკითხი აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. მარტში სატარიფო პალატას წაუყენებს სამუშაო ხელფასის გადიდების მოთხოვნილება ბეჭვდითი სიტყვის, ფარმაცევტების, ტრამვაის, თამბაქოს ქარხნების და სხვა წარმოების მუშათა კავშირებმა. ისინი დააკმაყოფილეს იმ იმედით, რომ მომარაგების ფონდი აპირებს (?) გაადიდოს სურსათ-სანოვაგის მიწოდება და ახლო მომავალში დაიწყებს ფართლეულობის დარიგებასო. მართლაც მუშათა მაგიდამ დაიწყო ფართლეულობის დარიგება, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დაცინვა, რადგანაც თითო სულზე 150 მანეთის ფართალს აძლევდენ, ისე რომ ვისმეს შარვლის შეკერვა მოენდომა, მას უნდა ყოლოდა არა ნაკლებ 10 სულისა ოჯახში (მისი სარჩენი). მომარაგების ფონდის საბედნიეროთ ასეთი ოჯახები ძლიერ ცოტა აღმოჩნდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მუშათა მაგიდასთან ახლო მდგომ ოჯახებს) და მუშა-მოსამსახურეებმა შესძლეს მხოლოდ მუშათა მაგიდიდან თითო ცხვირ-სახოცის გამოტანა და ზოგიერთმა თავის ძველ დახეულ ტანისამოსის დასაკერი მასალის შეძენა.

აუტანელი მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა; გაისმოდა პროტესტების ხმები, ზოგან გაფიცვებიც მოხდა, რის შედეგი იყო მუშათა კავშირების მეტეხში გადატანა. მაგრამ ამ დროს მუშათა კლასის „წარმომადგენლებს" გამოუჩნდა მფარველი.

— სამშობლო განსაცდელშია! სირცხვილია ამ დროს თავის ინტერესებზე ლაპარაკი—ეუბნებოდენ მუშებს და მათ დასამშვიდებლათ იხმარებდენ შინაგან საქმეთა სამინისტროს!

კატლინა.

(დასასრული იქნება)

